

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 27

ქ. თბილისი

13.07.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო ჩანადირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელევთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდუზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

ილიას ჩილოღლი - რექტორი;

დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თეა კბილცეცხლაშვილი - ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი;

ავთანდილ გაგნიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

მაია სამქანაშვილი - კარიერის დაგეგმვის სამსახურის უფროსი;

ლელა ზერეკიძე - დამსაქმებელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ეკა ლეკაშვილი;

რუსუდან სეთურიძე;

ანა გვრიტიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:58 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 11 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27³ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ცენტრში წარმოდგენილი წერილით მოთხოვა საკითხის განხილვის გადადება. აღნიშნული შუამდგომლობა საბჭოს წევრებმა გაიზიარეს.

შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ახალი დღის წესრიგი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ განსახილავი საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენდა მოქმედ პროგრამას. მასზე 62 სტუდენტი ირიცხებოდა და ამჟამად მიღება გამოცხადებული იყო 50 სტუდენტზე. კრედიტების განაწილება პროგრამაში იყო შემდეგი: ბიზნესის ადმინისტრირების საბაზისო სავალდებულო კრსები - 75 კრედიტი, მენეჯმენტის სავალდებულო საგნები - 42, არჩევითი საგნები - 23, დამატებითი სპეციალობა/თავისუფალი კრედიტები - 65 კრედიტი. აღსანიშნავი იყო რომ, საბაკალავრო ნაშრომს და პრაქტიკას ჰქონდა სავალდებულო სტატუსი, თუმცა სტუდენტს შეეძლო მოცემული ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევა. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდირებული იყო მიზნის ფორმულირება, რადგან პროგრამა იყო მოქმედი, მისი მიზანი არ უნდა მოსულიყო დამთხვევაში მეორე პროგრამის - ბიზნესის ადმინისტრირების მიზნებთან, რადგან კვალიფიკაცია იყო განსხვავებული, ამიტომაც სასურველი იყო ამ კუთხით შესწორებების შეტანა პროგრამაში და აქცენტის გაკეთება იმ

ძირითად თავისებურებებზე რაც ახასიათებდა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას უშუალოდ მენეჯმენტის მიმართულებით.

- რეკომენდირებული იყო საწარმოო პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტების შეცვლას სტატუსის მიხედვით. დაწესებულების არგუმენტი ამასთან დაკავშირებით იყო რომ კომპონენტებს სავალდებულო სტატუსი აქვთ, თუმცა როდესაც ხდებოდა ორიდან ერთ-ერთის არჩევა ეს ფაქტობრივად ისევ არჩევითობას გულისხმობდა. და რადგანაც პროგრამაში მოცემული იყო რომ სტუდენტს უნდა გამოემუშავებინა როგორც პრაქტიკული, ასევე კვლევითი უნარები, ექსპერტთა ჯგუფი თვლიდა რომ ორივე ნაწილის შეთავაზება უნდა მომხდარიყო სავალდებულო სტატუსით.

- რეკომენდირებული იყო საბაზო ნაწილში მომხდარიყო ისეთი კურსების შეთავაზება, რომლებიც უზრუნველყოფდა ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, როგორიცაა "ოპერაციული მენეჯმენტი", "ლოჯისტიკა" და "საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი". ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სავალდებულო საგნებში მოცემული იყო ტურიზმის საფუძვლები, რომელიც რეალურად არ ემსახურებოდა კვალიფიკაციაზე გასვლას, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა მის ნაცვლად მომხდარიყო ზემოთ ჩამოთვლილი საგნებიდან რომელიმეს შეთავაზება სტუდენტებისათვის. ასევე, სასწავლო კურსებს - მიკრო ეკონომიკა და მაკრო ეკონომიკა გადარქმეოდა სახელები, რადგან ძირითადი ლიტერატურა, რის მიხედვითაც კურსი იყო აგებული ეყრდნობოდა მენქიუს ეკონომიკის პრინციპებს, ამიტომაც საჭირო იყო სათაურში ასახულიყო კურსის შინაარსი. ეს ნაკლებ პრობლემას შექმნიდა სტუდენტის მიერ მობილობის განხორციელების შემთხვევაშიც. ამასთანავე, სასწავლო კურსებს - მათემატიკა I და II -ის შემთხვევაში საჭირო იყო გადამუშავებულიყო სწავლის შედეგები, რადგან მოცემულ კურსებს მითითებული ჰქონდათ ერთნაირი სწავლის შედეგები, მაშინ როდესაც თემატიკა იყო განსხვავებული.

- ინფორმაციული ტექნოლოგიების თვალსაზრისით ლექციების მოცულობა იყო საკმაოდ მასშტაბური და პრაქტიკულ მეცადინეობასა და ლექციებს შორის საჭირო იყო პროპორციის ცვლილება და პრაქტიკული ნაწილის გაძლიერება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების შემდგომ აღმოჩნდა, რომ ისინი ითხოვდნენ პრაქტიკის გაძლიერებას სტრესული სიტუაციების მართვის, დროის მენეჯმენტის, წერიტი უნარების კუთხით.

- რეკომენდირებული იყო გაზრდილიყო პროგრამის განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ეფექტიანი გამხდარიყო მხარეების მონაწილეობის მექანიზმი. გაწერილი მექანიზმი არსებობდა დაწესებულებაში, თუმცა აღმოჩნდა რომ დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მაგალითად პერსონალის არ იყო ეფექტიანი, რადგან ისინი ჩართულნი იყვნენ პროცესში, მაგრამ კითხვების დასმის დროს აღმოჩნდა რომ მათ არ იცოდნენ რატომ მიიღეს ან არ მიიღეს ესა თუ ის გადაწყვეტილება.

- რაც შეეხებოდა წინაპირობების საკითხს, მართალია სემესტრულად გადანაწილებული იყო კურსები და სემესტრული პრინციპით მათი შეთავაზება ლოგიკას ექვემდებარებოდა, ექსპერტებს საჭიროდ მიაჩნდათ, რომ ეს ასახული ყოფილიყო სილაბუსებშიც და პროგრამაშიც, რადგან თუ სტუდენტი თავად შეადგენდა გეგმას, მას უნდა ჰქონოდა ინფორმაცია რა საგნების გავლა იქნებოდა საჭირო სასურველ საგნებზე დაშვებისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ განსასაზღვრი იყო ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონოდა პრაქტიკის კომპონენტის არჩევისათვის.

შეთავაზება იყო ბიზნეს ინგლისურის სწავლება მომხდარიყო არა მეორე, არამედ მეოთხე სემესტრიდან, ზოგადი ინგლისურის სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ. განახლებას მოითხოვდა ზოგიერთ სილაბუსში წარმოდგენილი ლიტერატურა, მაგალითად - მენეჯერული ფინანსები, ბიზნესის ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. ამასთანავე რეკომენდირებული იყო შემცირებულიყო ძირითადი ლიტერატურაც. ექსპერტმა თქვა რომ ეს რეკომენდაცია არ ეხებოდა "საერთაშორისო ფინანსების" კურსს და ამასთან დაკავშირებით იყო ტექნიკური შეცდომა, თუმცა რეკომენდაცია ვრცელდებოდა "ბიზნესის სამართლებრივ გარემოზე". ასევე მნიშვნელოვანი იყო დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და რჩევების მაქსიმალური გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია მიზნების ფორმულირების შეახებ გაზიარებულ და განხორციელებულ იქნა დაწესებულების მიერ. მოხდა დაკონკრეტება მენეჯმენტის მიმართულებით და მიიღო ისეთი სახე, რაც ექსპერტთა ჯგუფისათვის იყო მისაღები. რაც შეეხებოდა საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის არჩევითობის საკითხს, აღნიშნული ცვლილება რამოდენიმე წლის წინ განხორციელდა სტუდენტების მოთხოვნიდან გამომდინარე, რადგან ძალიან ხშირი იყო როდესაც მესამე-მეოთხე კურსზე სტუდენტები იყვნენ დასაქმებულები და მათთვის პრაქტიკის გავლა არ იყო საინტერესო.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო პრაქტიკის მოთხოვნების გაწერა და უკვე დასაქმებული სტუდენტის სამუშაო გამოცდილების პრაქტიკის კომპონენტში ასახვა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი რეგულაცია სირთულეს წარმოადგენდა, რადგან საჭირო იყო მემორანდუმების გაფორმება კონკრეტულად იმ ორგანიზაციებთან სადაც სტუდენტები იყვნენ დასაქმებულები, განსაკუთრებით საჯარო ორგანიზაციები კი მემორანდუმებს არ აფორმებდნენ. მან ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკული კომპონენტი სხვა სასწავლო კურსებშიც საკმაოდ ღრმად იყო წარმოდგენილი. ხორციელდებოდა კვლევითი კომპონენტიც, ამიტომაც დაწესებულებას მიაჩნდა რომ ამ კუთხით სტუდენტები არ ზარალდებოდნენ, თუმცა თუ საბჭო გადაწყვეტდა მოცემულობის შეცვლა შესაძლებელი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ასეთი მიდგომა საშუალებას აძლევდა სტუდენტს, რომელიც არ მუშაობდა, პრაქტიკის გარეშე დარჩენილიყო იმ შემთხვევაში თუ ის უბრალოდ არ მოისურვებდა მის გავლას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებობდა პრაქტიკა იმისა, რომ თუ სტუდენტი დაადასტურებდა რომ ის 6 თვის განმავლობაში იყო დასაქმებული, დაწესებულება რთავდა უფლებას შეეცვალა პრაქტიკის ნაწილი საბაკალავრო ნაშრომით.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ საჭირო იყო აღნიშნული პრაქტიკის დოკუმენტურად გაწერა იმისათვის, რომ სტუდენტებსაც ჰქონოდათ ინფორმაცია.

წარმომადგენელმა რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა ბიზნეს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის კომპეტენციების განმსაზღვრელი კურსების დამატებას განაცხადა, რომ დაწესებულება მზად იყო გაეთვალისწინებინა რეკომენდაცია. ამასთანავე უნდა აღნიშნულიყო რომ შეთავაზებული კურსების ნაწილი პროგრამაში არსებობდა, თუმცა არჩევითი სახით. საჭირო იქნებოდა მათი სავალდებულო მოდულში გადატანა. რაც შეეხებოდა საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტს, დაწესებულებამ დაამატა კურსი -

საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიზნესში, რომელიც ემსახურებოდა “ექსელის”, “ექსელის” და “მათლაბის” შესწავლას. რაც შეეხებოდა ტურიზმის საფუძვლებს, არსებობდა ზოგადი მიდგომა, სტუდენტებს აცნობდნენ ტურიზმის საფუძვლებს, თუმცა თუ საბჭოს რეკომენდაცია იყო შეიძლებოდა საგანი არ ყოფილიყო სავალდებულო ხასიათის მატარებელი.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ დაწესებულების წარმომადგენლებს ურჩია, რომ უმჯობესი იქნებოდა ტურიზმის საფუძვლების ნაცვლად ესწავლებინათ სტუმართმასპინძლობის მენეჯმენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ რეკომენდაციას მიკრო ეკონომიკისა და მაკრო ეკონომიკის სახელწოდებების დაკონკრეტებასთან დაკავშირებით. ასევე გასწორდა მათემატიკა I და II კურსები, ჩამატა სპეციფიკური ნაწილები, რაც წარმდგენილ იქნა დაწესებულების მიერ. ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, რეალურად პრაქტიკას ეთმობოდა მეტი დრო და აღნიშნული დასტურდებოდა დოკუმენტაციის მეშვეობითაც.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ აღინიშნა, რომ კურსდამთავრებულებს ნაკლებად ჰქონდათ განვითარებული დამსაქმებლების მოთხოვნებისათვის რელევანტური უნარები და უჭირდათ პრაქტიკული ცოდნის რეალიზება, საკუთარი ბიზნესის წამოწყება ან გაყიდვების მიმართულებით საქმიანობა, რაზეც დაწესებულების პოზიცია იყო რომ კურსდამთავრებულები დასაქმებულები იყვნენ და აღნიშნული პრობლემა არ შეინიშნებოდა. მათ განვითარებული ჰქონდათ შესაბამისი უნარები და მათ წარმატებასაც ეს განაპირობებდა. დაწესებულებამ სთხოვა ერთ-ერთ დამსაქმებელს, რომელიც ესწრებოდა საბჭოს სხდომას დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება.

დამსაქმებელმა განაცხადა რომ წარმოადგენდა კომპანია GRC-ის HR დეპარტამენტს. ის დიდი ხანია თანამშრომლობდა დაწესებულებასთან და ხშირად უწევდა მათ რეკომენდაციას. წელიწადში დაახლოებით ოთხჯერ ხდებოდა მისი მიწვევა დაწესებულებაში და მისი კომპანიებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებებზე რეკომენდაციების გაზიარება, რომელთა გათვალისწინებაც ხდებოდა. ექსპერტებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ მოცემული დაწესებულების პირობებში ჩართულობის პრობლემას ადგილი არ ჰქონდა, თუმცა სხვა დაწესებულებებში უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული კომპონენტის გათვალისწინება. მისი კომპანია დიდი პროცენტულობით ასაქმებდა შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტებს, არსებობდა მემორანდუმი, სტუდენტების აყვანა ხდებოდა მესამე- მეოთხე კურსიდან.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, ძირითადად რა პოზიციებზე აჰყავდა დამსაქმებელს სტუდენტები სამუშაოდ.

დამსაქმებელმა უპასუხა, რომ ყველა ძირითადი მიმართულებით, იქნებოდა ეს წარმოებები, გაყიდვები, მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, ადმინისტრირება, კრედიტ კონტროლი და ბუღალტერია.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა ესაჭიროებოდა თუ არა კომპანიას, ექსპერტი-იმპორტის მენეჯერები. დამსაქმებელმა განაცხადა, რომ ესაჭიროებოდათ ლოჯისტიკის სპეციალისტები. ყველას თავის ტესტი ჰქონდა რაც მოიცავდა ექსელსაც და უცხოენებსაც.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ჯგუფი კვლავ თავის პოზიციაზე რჩებოდა. ამ ნაწილში ასახული იყო არამხოლოდ დამსაქმებლების, არამედ სტუდენტების თვალსაზრისიც. ექსპერტები დაწესებულებაში იმყოფებოდნენ კონკრეტული პროგრამის შესწავლის მიზნით და ისინი არ ისაუბრებდნენ სხვა დაწესებულებასა და მათ კურსდამთავრებულებზე.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, რამდენ დამსაქმებელთან განხორციელდა შეხვედრა ვიზიტის განხორციელების პერიოდში. ექსპერტმა უპასუხა, რომ შეხვედრა მოხდა სამ დამსაქმებელთან.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა კითხვით მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა თუ რაზე დაყრდნობით აკეთებდა ჯგუფი დასკვნას, როდესაც შეხვედრაზე იგივე ითქვა დამსაქმებლების მხრიდან რაც საბჭოს სხდომაზე.

ექსპერტმა უპასუხა, რომ დასკვნა გამომდინარეობდა ვიზიტისას მიღებული გადამოწმებული ინფორმაციიდან.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ რთული იყო ზუსტად განსაზღვრულიყო რა იგულისხმებოდა და როგორ უნდა გაზომილიყო ფრაზა “მეტი ჩართულობა”, ამიტომაც შემდგომ დავას აღნიშნულ საკითხზე აზრი არ ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი წლების განმავლობაში ზრუნდავენ დამსაქმებელთა ჩართულობის ზრდაზე, რაც აისახებოდა ყოველწლიურ ანგარიშებშიც. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო დამსაქმებელთა კომიტეტი, რომელიც გამართავდა შეხვედრებს და მომზადდებოდა ანგარიშები.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა კომიტეტის ფუნქციებით. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომიტეტის ფუნქცია იქნებოდა რჩევების მიცემა პროგრამების განვითარებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცალკეულ კურსებში წინაპირობების განსაზღვრაზე არსებულ რეკომენდაციას იზიარებდნენ. რეალურად წინაპირობები გათვალისწინებული იყო, თუმცა აკლდა დაკონკრეტება, რაც უკვე განხორციელებული იქნა. ასევე პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისთვის სტუდენტის მიერ ათვისებული კომპონენტების განსაზღვრასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პრაქტიკა შეთავაზებული იყო დამამთავრებელ სემესტრში და დაკონკრეტდა, რომ პრაქტიკის კურსამდე საჭირო იყო ყველა სავალდებულო კომპონენტის გავლა. რაც შეეხებოდა ბიზნეს ინგლისურს, ინგლისური ენის დონიდან გამომდინარე, შეთავაზება ხდებოდა მეორე სემესტრიდან მეოთხემდე. იმისათვის, რომ სტუდენტებს დრო არ დაეკარგათ, შეთავაზება ხდებოდა მეორე სემესტრიდან, აღნიშნული ხორციელდებოდა იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც ჰქონდათ უნარი გაეგოთ ბიზნეს ინგლისური. მაგრამ თუ ცვლილება საჭიროდ იქნებოდა მიჩნეული, შესაძლებელი იქნებოდა შეთავაზება მესამე სემესტრიდან.

აღსანიშნავი იყო, რომ დაწყებული იყო ზრუნვა და ხორციელდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების მოძიება. რაც შეეხებოდა “ბიზნესის სამართლებრივ გარემოში” ლიტერატურას, მოცემული იყო თავები სხვადასხვა წიგნებიდან და მოქნილობისათვის შესაძლებელი იქნებოდა რიდერის შექმნა. თუმცა, პირადად დაწესებულების წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ წიგნის უპირატესობა ის იყო, რომ სტუდენტს საშუალება ეძლეოდა გაცნობოდა დამატებით თავებსაც, გარდა მითითებულისა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებული სხვაობა ამ შემთხვევაში მოცემული არ იქნებოდა და დაწესებულებას შეეძლო საჭიროებისამებრ ემოქმედა, რაშიც მას დაეთანხმა საბჭოს წევრი, თეო ურუშაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მას გააჩნდა გარკვეული შენიშვნები. საგნის შინაარსი და ლიტერატურა საჭიროებდა გადახედვას, რადგან კითხვის ნიშანი ჩნდებოდა შეძლებდა თუ არა საგანი არსებული სახით შედეგზე გასვლას. სისტემა შედგენილი იყო ანაქრონისტულად. მოიცავდა ძალიან ბევრ თემას, რომელიც არ იყო ერთმანეთთან კავშირში.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს და განაცხადა, რომ წინა ვერსიასთან შედარებით მოცემული ვერსია კიდევ დახვეწილი იყო, თუმცა მუშაობა საჭირო იყო და გაგრძელდებოდა კიდევ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მას ჰქონდა გარკვეული რჩევები. პრობლემები არსებობდა საგნებზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით. მაგალითად ბიზნესის საფუძვლებზე ძირითადი დრო ეთმობოდა მენეჯმენტის და სამართლებრივ საკითხებს, ხოლო მარკეტინგის და ფინანსების საკითხები ნაკლებად ჩანდა საგანში. აღნიშნულიდან გამომდინარე საგანში შეინიშნებოდა თემატური დისბალანსი. რაც შეეხებოდა მენეჯმენტის საფუძვლების საგანს მას არ ჰქონდა წინაპირობა. გაუგებარი იყო რატომ არ უნდა ყოფილიყო ბიზნესის საფუძვლები მენეჯმენტის საფუძვლებზე დაშვების წინაპირობა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული მოცემული იყო რეკომენდაციებშიც და მისი დაკონკრეტება მოხდა დაწესებულების მიერ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა ფინანსების საფუძვლების ჩანაცვლება ფინანსების მენეჯმენტით, რადგან კვალიფიკაცია გადიოდა ბიზნესის ადმინისტრირებაზე. მენეჯერული ფინანსებისათვის კი უმჯობესი იქნებოდა სახელწოდებად კორპორაციული ფინანსების განსაზღვრა. კორპორაციული ფინანსების სილაბუსი საკმაოდ კარგად იყო დალაგებული, თუმცა იქმნებოდა განცდა, რომ ის წყდებოდა და სტუდენტი ვერ გადიოდა ლოგიკურ დასასრულამდე. საჭირო იყო საგანი დასრულებულიყო ბიზნესის შეფასებით. რაც შეეხებოდა მენეჯმენტის სპეციალიზაციის საგნებს, საჭირო იყო ისეთი საგნების დამატება როგორც იყო ოპერაციათა მართვა, ოპერაციათა კვლევა, ინოვაციური მენეჯმენტი, რის შესახებაც რჩევა უკვე არსებობდა ექსპერტებისაგან, თუმცა ასევე სასურველი იქნებოდა მეტი ქეისების შეტანა, რათა სტუდენტებს შედარების საშუალება ჰქონოდათ თუ როგორ ხორციელდება მენეჯმენტი პრაქტიკაში. მაგალითად ჯანდაცვის სფეროში, ავიაკომპანიებში და აშ. ასევე აუცილებელი იყო ექსპორტ-იმპორტის მენეჯმენტის სწავლება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიმართულებებზე ისწავლებოდა ქეისები. საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ უპასუხა, რომ საჭირო იყო ამის სათანადო ასახვა სილაბუსებში და პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ იკითხა, რა არჩევანის საშუალებას აძლევდა დამატებითი მოდული სტუდენტს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 60 კრედიტის ფარგლებში ნებისმიერი მიმართულებიდან იყო შესაძლებელი საგნების არჩევა, თუმცა უმეტესობა სტუდენტებისა კვლავ თავისი სპეციალობის საგნებს ირჩევდა არსებულ მოდულშიც.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, ისწავლებოდა თუ არა ჰუმანიტარული მეცნიერებების საგნები. წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნული საგანი არ იყო სავალდებულო, თუმცა თავისუფალ კრედიტებში სტუდენტებს შეეძლოთ აღნიშნული მიმართულებიდან საგნების გავლაც.

16:30 საათზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი სოფიკო ლობჯანიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22 მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის 3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ყურადღებას არ გაამახვილებდა რეკომენდაციებზე ვინაიდან რეკომენდაციები გახლდათ ანალოგიური მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციებისა. პროგრამა გახლდათ ახალი და მას გააჩნდა კონცენტრაციები უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების ბაზაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ როგორც საბჭომ იცოდა, ეს პროგრამა იყო ადრე არსებული პროგრამების - მენეჯმენტი, ფინანსები და აშ... ბაზაზე შექმნილი ერთიანი პროგრამა.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2011 წლამდე არსებობდა მსგავსი ერთიანი პროგრამა, თუმცა შემდგომ გადაწყდა, რომ პროგრამა დაშლილიყო. შემდგომში ჩატარებული კვლევებით სტუდენტებსა და დამსაქმებლებში, აღმოჩნდა, რომ პროგრამის არსებობა ერთიანი სახით უმჯობესი იქნებოდა მათ შორის მოქნილობის თვალსაზრისით. იმდენად რამდენადაც პრემიერ მინისტრის ბრძანების საფუძველზე ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამას განესაზღვრა აკრედიტაციის ვადა პირველ ივლისამდე, რაც დაწესებულებამ შეიტყო მოგვიანებით და ამიტომაც პროგრამა დაშლილი სახითაც იქნა შეტანილი აკრედიტაციაზე რათა სტუდენტები არ დაზარალებულიყვნენ, ასევე რათა არ შეფერხებულიყო გრანტის მქონე სტუდენტების ჩარიცხვის პროცესიც.

ექსპერტმა განაცხადა რომ საჭირო იყო გადამუშავებულიყო პროგრამის სტრუქტურა და სავალდებულო საბაზო საგნებში გათვალისწინებული ყოფილიყო სფეროები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კომპეტენციას უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით. 75 კრედიტი წარმოადგენდა სავალდებულო საგნების მოდულს, ხოლო დანარჩენი ივსებოდა კონცენტრაციების ხარჯზე. ზოგიერთი საგანი, განსაკუთრებით ტურიზმის მიმართულებით ვერ უზრუნველყოფდა კვალიფიკაციაზე გასვლას. სტანდარტში ნაწილობრივი შესაბამისობა კი გამოიწვია იმან, რომ მოცემული საგნები უკვე მომზადებული იყო, პედაგოგები დაწესებულებას ჰყავდა, საჭირო იყო სტრუქტურის ცვლილება იმ რესურსის ფონზე რაც დაწესებულებას გააჩნდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ იკითხა, მოხდებოდა თუ არა კონცენტრაციებიდან საგნების გადანაცვლება საბაზისო მოდულში და კრედიტების გაზრდა 75-დან 120 - მდე.

ექსპერტმა აღნიშნული დაადასტურა და განაცხადა, რომ გამოვლინდა თემატური პარალელები ისეთ კურსებში, როგორიც იყო "საზოგადოებასთან ურთიერთობა" და "ბიზნესის ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა", "კარიერის მართვა", "კორპორაციული კომუნიკაციები" და სხვა. პროგრამაში იყო სასწავლო კურსი - მონაცემების ანალიზი და მოდელირება ელექტრონული ცხრილებით. ექსელისა და აქსესის გაძლიერების კუთხით. საჭირო იყო კურსის გადამუშავება და მოდელირების ნაწილის გადატანა სამაგისტრო საფეხურზე. ასევე იყო სასწავლო კურსები 4 და 5 კრედიტით, მაგალითად - ონლაინ მარკეტინგი, პირდაპირი მარკეტინგი, ეთიკის საკითხები ბუღალტრულ აღრიცხვაში და სხვა. საგნების თემატიკების განხილვის შემდეგ ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ

აღნიშნული საგნებისათვის კრედიტების აღნიშნული ოდენოდა იყო გადაჭარბებული. უნდა განსაზღვრულიყო და სილაბუსებში ასახულიყო შემდეგი სასწავლო კურსების წინაპირობები: სტატისტიკის და ალბათობის შესავალი, მენეჯერული აღრიცხვა I, საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები, ფინანსური ინსტიტუტები, მეწარმეობა, ორგანიზაციული ქცევა, ადამიანური რესურსების მართვა, მარკეტინგის მენეჯმენტი, მცირე და საშუალო საწარმოების მართვა, მომსახურების მარკეტინგი, გაყიდვების მართვა, რისკების მართვის საფუძვლები, ლოჯისტიკა, ევროინტეგრაცია და ფინანსური ბაზრის რეფორმები. ბიზნეს კონტრაქტების შედგენა. ასევე აღინიშნა, რომ ინვესტიციებისა და პორტფელის მართვის საგანს წინაპირობად განსაზღვრული ჰქონდა მხოლოდ ბიზნეს სტატისტიკა, ორისის კურსს - საბუღალტრო პროგრამის გამოყენება. საჭირო იქნებოდა წინაპირობების დაკონკრეტება და ზოგიერთ შემთხვევაში დამატება. მიზანშეწონილი იყო ადმინისტრაციას უზრუნველყო აფილირებული პერსონალის მოზიდვა. როდესაც პროგრამა შემუშავდა აფილირების წესი ახალი შემუშავებული იყო, თუმცა დაწესებულებამ გამოთქვა სურვილი და მზაობა ამ მიმართულებით მუშაობისა. კურსებში - საერთაშორისო ფინანსები, მენეჯერული ფინანსები და ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საჭიროება იყო განახლებულიყო ლიტერატურა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა სტრუქტურის ცვლილებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე განაცხადა რომ რეკომენდაციის გათვალისწინება მოხდებოდა იმ კუთხით რომ მნიშვნელოვანი საგნები გახდებოდა ყველა კონცენტრაციისათვის სავალდებულო. 35 კრედიტი დაეთმო საფაკულტეტო კრედიტებს, ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო კურსებს - 95 კრედიტი, კონცენტრაციის სავალდებულო - 25 კრედიტი, კონცენტრაციის არჩევითი - 25 კრედიტი. ხოლო 60 კრედიტი დაეთმო თავისუფალ კრედიტებს. რაც შეეხებოდა თემატურ გადაფარვებს, ისინი მუდმივად თხოვდნენ პროფესორებს რომ ეთანამშრომლათ ერთმანეთთან რათა გადაფარვების პრობლემა მოგვარებულიყო. თუმცა ტერმინების განმეორების სრულად აღმოფხვრა შეუძლებელი იქნებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო ლექტორს შეეხსენებინა სტუდენტებისათვის სხვა კურსზე განვლილი მასალა, თუმცა არ ასახულიყო კონკრეტულად თემის სათაურში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მონაცემთა ანალიზის შესახებ განაცხადა, რომ უკვე აღინიშნა, რომ დაწესებულება აპირებდა ახალი კურსის დანერგვას, რომელიც იქნებოდა მონაცემთა ანალიზის შესახებ და მოხდებოდა პროგრამების შესწავლა, აქედან გამომდინარე კურსი ექსელის ნაწილისაგან გათავისუფლდებოდა ნაწილობრივ, რაც შეეხებოდა ფინანსურ მოდელირებას ეს კურსი დარჩებოდა არჩევითი სახით. რაც შეეხებოდა დანარჩენ საკითხებს თითქმის ყველა საკითხი ამოწურულ იქნა წინა განსახილველ პროგრამაზე მსჯელობის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ მისი აზრით ბიზნესის სპეციალისტისათვის საჭირო არ იყო წმინდა იურიდიული პარადიგმების ცოდნა. ბიზნეს კონტრაქტების საგნის ამოღება შესაძლებელი იყო პროგრამიდან, რომელიც მოცემული ფორმით მოიცავდა ჩვეულებრივ ვალდებულებით სამართალს. თავისმხრივ ხელშეკრულების შედგენა არ მოითხოვდა იურიდიული დეტალების ცოდნას. გარდა ამისა კურსებში სწავლების მეთოდები მეორდებოდა და შესაძლოა გადაჭარბებული რაოდენობითაც კი ყოფილიყო წარმოდგენილი, ამიტომ საჭირო იყო ინდივიდუალური მიდგომა სილაბუსებისადმი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ლექტორთა აკადემიური თავისუფლებით იყო გამოწვეული და კიდევ ერთხელ მოიწვევდნენ შეხვედრას და დასმულ საკითხებს განიხილავდნენ მათთან ერთად.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მას შეექმნა შთაბეჭდილება რომ საფინანსო პროფილის საგნებში, ოთხ საგანში ფაქტობრივად ერთი და იგივე თემების ხშირი გამეორებები ხდებოდა, რაც პროგრამის ფარგლებში დროის არარაციონალურ ხარჯვაზე მეტყველებდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერთნაირი შინაარსის, თუმცა სხვადასხვა მიდგომის ფარგლებში არ იყო გამორიცხული თემატური გადაფარვების არსებობსა, თუმცა აღნიშნული პრობლემის სრულად აღმოფხვრა შეუძლებელი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მისი აზრით, პროგრამას აკლდა ერთიანი ხედვა. მოცემული იყო ძალიან ბევრი საგანი, რასაც შესაძლოა სტუდენტი დაეგნა. კონცენტრაციებს რაც შეეხებოდა, ეს გარემოება სტუდენტებს საკმაოდ ხისტ მდგომარეობაში აყენებდა და კარგად არ ჩანდა თუ როგორ შეეძლო ლავირება სემესტრების მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაწერილი იყო რომელი სემესტრიდან რა სავალდებულო საგნები უნდა გაეელოთ სტუდენტებს კონცენტრაციების მიხედვით.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ბიზნესის კვალიფიკაციის მინიჭება ხდებოდა, თუმცა შეეძლო სტუდენტს მეოთხე თუ მეხუთე სემესტრიდან ისე აეღო საგნები და გასულიყო კვალიფიკაციაზე რომ შესაბამისობაში არ ყოფილიყო სპეციალობასთან. იქმნებოდა სტრუქტურული არეულობის განცდა. მაგალითად, მენეჯერული აღრიცხვა მოცემული იყო აუდიტის მოდულში და არ იყო ფინანსების მოდულში. ეს სტუდენტს საშუალებას აძლევდა დაემთავრებინა ფინანსები ისე, რომ არ გაეელო მენეჯერული აღრიცხვა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ექსპერტების რეკომენდაციას დაეთანხმნენ პროგრამის სტრუქტურის ცვლილებების შესახებ, ამიტომაც გარკვეული მოცემულობები რეალობაში შეცვლილი იყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა თითქოს სტუდენტს საკუთარი კურიკულუმის სტრუქტურა დამოუკიდებლად უნდა აეგო, საჭირო იყო დაწესებულების მეტი ჩართულობა და დახმარება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ადმინისტრატორები თითოეულ სტუდენტს ურჩევდნენ სწავლის დაგეგმვას. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ მიმდინარეობდა მუშაობა აფილირებული პერსონალის გაზრდაზე. პროგრამაზე იყო 12 აფილირებული პერსონალი და კიდევ იყო გამოცხადებული განაცხადი პერსონალის მიღებაზე, 4 დამატებითი ადგილი - მარკეტინგის მენეჯმენტის და საბუღალტრო აღრიცხვის მიმართულებით.

17:22 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 17: 40 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 0

წინააღმდეგი- 11

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27^ბ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭომ მიიჩნია, რომ 1.2 კომპონენტი არ იყო შესაბამისობაში კომპონენტის მოთხოვნებთან, რადგან საბაზისო საგნების ერთობლიობით სტუდენტი ვერ გავიდოდა კვალიფიკაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 18:00 საათზე.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული



მდივანი

ნინო ჩანადირი

